41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო რუსთაველებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი რუსთავის მერობის კანდიდატისა და რუსთავის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს რუსთავის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს რუსთავი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲗᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.

ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ რუსთავში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 35 მლნ 863 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 63 მლნ 655 ათასი ლარია, იზრდება რუსთავის საკუთარი შემოსავლებიც – თუ 2013 წელს რუსთავის ბიუჯეტმა 30 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი 42 მლნ 545 ათას ლარს შეადგენს.

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

რუსთავში მეწარმეობის განსავითარებლად, გაგრძელდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამებისა და პროექტების განხორციელება.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** რუსთავში დაფინანსდა 23 საწარმო (ინვესტიცია ჯამურად 94,9 მილიონ ლარზე მეტი, დასაქმდა 3 847 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 593,4 ათასი ლარის გრანტი გაიცა. სულ 786,4 ათასი ლარით ჯამურად დაფინანსდა 62 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით 27, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 35 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა.

ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

ქალაქ რუსთავის დასუფთავების, გარემოზე ზრუნვისა და გარეგანათების საკითხების გადასაჭრელად, შექმნილია ააიპ „რუსთავსერვის ცენტრი“ (2018 წელს დაფინანსება 8,4 მლნ ლარი). დაილუქა 138 მაღალსართულიანი სახლის შიდაბუნკერი, შემოტანილია 350 ცალი ნარჩენების (ნაგვის) შემკრები კონტეინერი. 2016 წელს აშენდა ახალი, ევროსტანდარტების ნაგავსაყრელი, რაზეც 3,5 მლნ ლარი დაიხარჯა.

2019 წელს ქ. რუსთავში ატმოსფერული ჰაერის, არაავტომატური სადგური ჩანაცვლდა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ავტომატური სადგურით.

2019 წელს რუსთავის სამრეწველო ზონაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა განახორციელა პრაქტიკულად ყველა მსხვილი სამრეწველო ობიექტის ინსპექტირება და გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრის მიზნით, საწარმოებს დაევალათ შესაბამისი ღონისძიებების გატარება. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი აქტიურად მიმდინარეობს, მათი შესრულება მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსთავის სამრეწველო ზონიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, ამზადებს და ავრცელებს ამინდის პროგნოზებს და გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ

ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ან მისი შექმნა. რუსთავის ინფრასტრუქტურა მუდმივად იზრდება და ვითარდება, რაც კარგი წინაპირობაა ინვესტორების დასაინტერესებლად.

2013-2020 წლებში, **რუსთავში**, ჯამში, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე სახელმწიფომ 52 მლნ ლარი დახარჯა. 2021 წელს რუსთავის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად იგეგმება 45 მილიონი ლარის დახარჯვა.

ქალაქის მასშტაბით დამონტაჟებულია გარეგანათების 8 335 წერტილი, აქედან 5 600 წერტილზე ძველი სანათები თანამედროვე ენერგოეფექტური ლედსანათებით ჩანაცვლდა, წლის ბოლომდე კიდევ 1 500 ლედსანათის დამონტაჟება იგეგმება. ქალაქის მასშტაბით 2018 წლის სექტემბრიდან გაიწმინდა 1 865 სანიაღვრე ჭა.

2020 წლის მდგომარეობით, მოწესრიგებულია მუნიციპალური გზების დაახლოებით 80%, 2021 წელს დამატებით მოწესრიგდება 7%. 2021 წლის ბიუჯეტში რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსდება, დაახლოებით 5 120 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 877,9 ათასი ლარი.

მუნიციპალური ავტოპარკი სრულად ჩანაცვლდა თანამედროვე სტანდარტების ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით

განახლებული კოსტავას გამზირი

ზვიად გამსახურდიას სახელობის სკვერი

№1 სამუსიკო სკოლა

ლიტერატურული სკვერი



გიორგი ლეონიძის სახელობის სკვერი

ნინო ლაცაბიძე: „ჩვენი გუნდის წარმატების საზომი ის განხორციელებული პროექტები იქნება, რასაც რუსთაველები მალე იხილავენ“

რუსთავში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში გაიზარდა. დედა დიასახლისი იყო და სამ შვილს ზრდიდა, მამა კი – ეკონომისტი. ოჯახი საკმაოდ ადრეულ ასაკში შექმნა. 4 შვილის დედა, ცხოვრების ყველა ეტაპზე, მეუღლისა და დედის როლთან ერთად, საჯარო მოხელის ფუნქციასაც ითავსებდა. საკმაოდ საპასუხისმგებლო პოზიციები გაიარა – მერიის მომსახურების ცენტრის კონსულტანტიც იყო, თბილისის საკრებულოს წევრიც, პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატიც და დღეს, რუსთავის მერობის კანდიდატია. ამბობს, რომ რუსთავში დაბადებულ-გაზრდილისთვის, ამ თანამდებობისთვის ბრძოლა ბუნებრივი გადაწყვეტილებაა. ამბობს იმასაც, რომ „ქართული ოცნების“ გუნდთან ერთად, მშობლიური რუსთავისთვის, ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს. მერობის კანდიდატი ნინო ლაცაბიძე, რუსთაველების მხარდაჭერაში დარწმუნებულია და ფიქრობს, რომ 2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, დამაჯერებლად გაიმარჯვებს.

– ქალბატონო ნინო, აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობის გამოცდილებაც გაქვთ და საკანონმდებლოშიც. სად გრძნობდით თავს უფრო კარგად და რომელი მიმართულება აღმოჩნდა თქვენთვის მეტად საინტერესო?

– ორივე შტო თავისებურად საინტერესოა, რადგან სხვადასხვა მიმართულებით გიწევს მუშაობა. ზოგადად, თვითმმართველობაში მუშაობა ჯერ კიდევ 2008 წელს დავიწყე, თბილისის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის კონსულტანტად. წლების განმავლობაში დედაქალაქის მერიაში არაერთ პოზიციაზე მუშაობამ დიდი გამოცდილება შემძინა. თბილისის მერიის შემდეგ იყო დედაქალაქის საკრებულოში დეპუტატად და კომისიის თავმჯდომარედ მუშაობის რამდენიმე წელი, სადაც როგორც მაჟორიტარი, თბილისის ერთ-ერთ დიდ უბანს წარმოვადგენდი. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რუსთაველებისა და გარდაბნის წარმომადგენლად ყოფნა ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპია, რომელსაც კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა და მოტივაცია ახლდა თან. საკანონმდებლო მუშაობას ის ხიბლი აქვს, რომ თავად ქმნი კანონს, რომელიც ცვლის აღმასრულებელი ორგანოების მუშაობის მიმართულებას იმისათვის, რომ ის უფრო ეფექტური და მოქალაქეებზე მორგებული გახდეს. მეორე მხრივ, აღმასრულებელ ხელისუფლებას პირდაპირი კომუნიკაცია აქვს მოსახლეობასთან და შეუძლია, საკანონმდებლო ორგანოს ისეთი ინიციატივებით მიმართოს, რაც ასევე ორიენტირებული იქნება მოკლე დროში მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაზე. პარლამენტში, თბილისის საკრებულოსა და მერიაში ჩემი გამოცდილება, რასაკვირველია, ძალიან დამეხმარება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში საქმიანობა უფრო ეფექტურად განვახორციელო. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მერის კანდიდადატად ჩართვა კი, ჩემთვის ახალი შესაძლებლობაა, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებ ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ.

– სანამ ამ ახალ შესაძლებლობაზე ვისაუბრებთ, მე-10 მოწვევის პარლამენტის მუშაობა შეაფასეთ და ისიც გაგვიმხილეთ, როგორც მაჟორიტარმა დეპუტატმა, ამ 1 წელში რუსთაველებისა და გარდაბნელებისთვის რისი გაკეთება მოასწარით?

– პარლამენტში ყოფნის მცირე პერიოდის მიუხედავად, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოხერხდა, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის კანონის მიღებაა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქალაქ რუსთავისთვის. ზოგადად ამ მოწვევის პარლამენტს, წინა პერიოდთან შედარებით, უფრო მეტი გამოწვევის გადალახვა უწევს. მიუხედავად ამისა, მიღწევებიც მნიშვნელოვანია – საარჩევნო რეფორმა, გარემოს დაცვის მიმართულებით განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებები და ა.შ. რაც შეეხება ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობას, ვფიქრობ, უმჯობესი იქნება, ეს თავად რუსთაველებმა და გარდაბნელებმა შეაფასონ. პარლამენტში რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ათი ადმინისტრაციული ერთეულის მოქალაქეების ინტერესებს წარმოვადგენდი. მაჟორიტარად არჩევის დღიდან არ გამიწყვეტია კონტაქტი ჩემს ამომრჩეველთან. დავპირდი კიდეც მოსახლეობას, რომ ყველა იმ საკითხში ჩავერთვებოდი, რაც მათთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი. შესაბამისად, მუდმივად ვხვდებოდით მოსახლეობას და აქტიურად ვარ ჩართული თითქმის ყველა პროცესში, რაც მათი პრობლემების მოგვარებისთვის მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით გამოვყოფ დაუკანონებელი ფართების გადაცემის საკითხს, გარემოდაცვითი კანონის მიღებაში აქტიურ მონაწილეობას და კანონის აღსრულების მონიტორინგს, სხვადასხვა სოციალურ პროექტს... თუმცა გარდაბნის სოფლებში იყო საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ გადაწყვეტის ეტაპზეა. მათ გულშემატკივრობას აუცილებლად გავაგრძელებ, რათა დაწყებული პროექტები რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს.

– ალბათ ეს აქტიურობა „დაგიფასათ“ გუნდმა, რადგან ნდობა გამოგიცხადათ და რუსთავის მერის კანდიდატად დაგასახელათ. ისე, რას ნიშნავს თქვენთვის ეს სტატუსი და მერობა, დეპუტატობის მერე, „დაწინაურებაა“ თუ არა?

– ორივე პოზიცია ძალიან საპასუხისმგებლოა. იყო პარლამენტარი, თან მაჟორიტარი, არის ძალიან რთული. ბევრი სოციალური გამოწვევა, რაც დღეს ქალაქშია, ბოლომდე არ იძლეოდა საშუალებას, რომ მხოლოდ საკანონმდებლო მიმართულებით ვყოფილიყავი დაკავებული. ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, მუდმივად ვიყავი კონტაქტზე ჩემს ამომრჩეველთან. ერთად არაერთი საკითხის გადაჭრა მოვახერხეთ. პოზიცია ჩემთვის ყოველთვის იყო შესაძლებლობა და დღეს ვფიქრობ, რომ მერის პოზიციიდან ჩვენი ქალაქისთვის საქმის კეთების უფრო მეტი შესაძლებლობა მექნება.

– რის გაკეთებას ელიან მერისგან რუსთაველები? ამომრჩეველთან ინტენსიური შეხვედრებისას, რა საჭიროებები გამოიკვეთა და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ რუსთავთან დაკავშირებით?

დაიბადა 1985 წლის 14 ივნისს ქალაქ რუსთავში.

2002-2006 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი დაასრულა ბაკალავრის ხარისხით, 2012-2014 წლებში – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის ხარისხი საბანკო საქმეში.

2014 წლიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა და ამჟამად არის საჯარო მმართველობა და ბიზნეს ინჟინერინგის დოქტორანტი. აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის 13-წლიანი გამოცდილება. 2008 წელს თბილისის მერიაში მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში დაიწყო მუშაობა მითერად (სპეციალისტად). 2009 წელს იგივე განყოფილებაში ჯერ მთავარ სპეციალისტად დააწინაურეს, 2015 წელს კი ამავე განყოფილების უფროსი გახდა. 2016 წლიდან მერიის ადმინისტრაციის სამსახურში ხელმძღვანელად იმუშავა 2017 წლამდე. 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დედაქალაქის საკრებულოს წევრად იყრიდა კენჭს და ისანი-სამგორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. 2020 წელს დიდი გამოწვევა იყო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის განაცხადი. კვლავ მაჟორიტარი დეპუტატის რანგში, ამჯერად რუსთავისა და გარდაბნის ათი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი გახდა. პარლამენტში დაიკავა შემდეგი პოზიციები: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი; ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წევრი; ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე.

ნინო ლაცაბიძე არის საჯარო მმართველობის დოქტორანტი. 2020 წლიდან მიწვეული ლექტორია შავი ზღვის უნივერსიტეტში.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

– როგორც რუსთაველმა, ვიცი ის გამოწვევები, რაც დღეს არის ქალაქში. ჩვენს გუნდს აქვს ამ გამოწვევების საპასუხო ზუსტი გეგმა და რაც ყველაზე მთავარია, გვაქვს ამ გეგმის შესრულების ყველა ბერკეტი და შესაძლებლობა – იქნება ეს სამთავრობო თუ პარტიული მხარდაჭერა, ასევე ამ სფეროში დიდი გამოცდილება. ნებისმიერ პოზიციაზე მიღებული გამოცდილება გაძლევს მეტ გამბედაობას, გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რასაც ხელშესახები შედეგები ექნება. ჩემს შემთხვევაშიც, მერის არჩევნებში ჩართვას დიდ პასუხისმგებლობად მივიჩნევ, რადგან ზუსტად ვიცი, რა გამოწვევასთან არის დაკავშირებული მუნიციპალური საქმიანობა. მოქალაქეებთან შეხვედრებზე მთავარი პრობლემები მუდმივად მუნიციპალური კუთხით იკვეთებოდა. დარწმუნებული ვარ, მერის პოზიციაზე მექნება უფრო ქმედითი ბერკეტი ამ საკითხების გადასაჭრელად, ხოლო გამოცდილება, რომელიც თბილისის მერიასა და საკრებულოში დავაგროვე, დამეხმარება, უფრო სწრაფად შევძლოთ ჩვენი ქალაქის განვითარება. არ შემიძლია, არ დავასახელო ისეთი გამოწვევები, რომლებიც ათეულობით წლები იყო მოუგვარებელი. ვთქვათ, დაუკანონებელი ფართები, რომლებშიც მოსახლეობა წლების განმავლობაში ცხოვრობდა, წელს დავიწყეთ და სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად გადავეცით ორასამდე ოჯახს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მომავლის რუსთავი იყოს გამართული ეკონომიკური შესაძლებლობების, ეკოლოგიურად სუფთა, სადაც თითოეული ადამიანი აღმოაჩენს მისთვის ახალ შესაძლებლობებს. ეს ეხება როგორც საცხოვრებელ გარემოს, ისე განათლების მიღების შესაძლებლობას, სპორტის არსებული და ახალი სახეობების განვითარებას და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, დასაქმება აღარ უნდა იყოს მთავარი გამოწვევა და ჩვენ ყველანი გავერთიანდებით იმისთვის, რომ რუსთავში შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ხელს შევუწყობთ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე გავაღრმავებთ და ეკონომიკურად უფრო ეფექტურს გავხდით რუსთავის აგლომერაციაში შემავალ ქალაქებთან ინტერმუნიციპალურ თანამშრომლობას. დავიწყებ მუნიციპალური სერვისების მნიშვნელოვან განვითარებას იმ გუნდთან ერთად, რომელიც რუსთავის მერიაში წლების განმავლობაში ემსახურება მოქალაქეებს. შევქმნით კიდევ უფრო მოქნილ მუნიციპალურ სისტემას, რათა თითოეული მუნიციპალური სერვისი გახდეს მოქალაქეზე ორიენტირებული.

– ეკოლოგია ახსენეთ. გარემოსდაცვითი კანონის ამოქმედებით რუსთავში ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესება შესაძლებელია?

– დიახ, გარემოსდაცვითი კანონი დაგვეხმარება, რომ ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ეკოლოგია ჩემი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო პარლამენტში – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის წევრი გახლდით. კანონის მიღების შემდეგ, მომდევნო ეტაპი მისი ეფექტური აღსრულებაა, რაშიც ასევე აქტიურად ვიქნები ჩართული. ეს არის თითოეული რუსთაველის ინტერესი. აქ დაახლოებით 60-მდე საწარმოში, 8000-ზე მეტი რუსთაველია დასაქმებული. გვიხარია, რომ ხალხს სამუშაო ადგილები აქვს და ქალაქს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაშიც დიდი წვლილი შეაქვს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს რუსთაველების, ჩვენი შვილების ჯანმრთელობის ხარჯზე. ამ კანონის მიღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც ხელისუფლებამ თითოეული მოქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე გადადგა. ზოგადად, წარმატება განხორციელებული პროექტებით იზომება. ვფიქრობ, ჩვენი გუნდის წარმატების საზომიც ის უამრავი განხორციელებული პროექტი იქნება, რასაც რუსთაველები მალე იხილავენ.

– ამ პროექტების განხორციელებაში ის გამოცდილებაც დაგეხმარებათ, რომელიც მერიაში მიიღეთ და ზოგადად, რა მოგცათ ამ უწყებაში, მაგალითად მომსახურების სფეროს კონსულტანტად მუშაობამ?

– ეს მნიშვნელოვანი და რთული პერიოდი იყო. მას შემდეგ, რაც მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი შევქმენით, საცხოვრებლად ცალკე გადავედით და შვილიც გაგვიჩნდა, მივხვდი, რომ აუცილებელი იყო, მეც მემუშავა და ოჯახს ერთად გავძღოლოდით. მერიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში, სივრცის კონსულტანტის პოზიციაზე ვაკანსია იყო. ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად, მუშაობა დავიწყე. 8 საათი, მერიის შესასვლელში ვიდექი და მოქალაქეებს მიმართულებას ვაძლევდი. კარგი ანაზღაურება მქონდა, მაგრამ იმ პოზიციაზე არ ვიყავი, რომელზეც ვოცნებობდი და ძალიან გამიჭირდა. არც მორალურად იყო მარტივი – მერიაში უმეტესად განაწყენებული ადამიანები მოდიოდნენ. მიყვებოდნენ საკუთარი პრობლემის შესახებ. მივხვდი, რამდენი გაჭირვებული იყო ქვეყანაში. როცა მოდის ადამიანი, გიყვება ავადმყოფ შვილზე, რომლის მკურნალობის ფული არ აქვს, რთულია, ემოციებს არ აჰყვე. საშინელება იყო უსუსურობის განცდა – ისინი იმედით გიყურებენ, ჰგონიათ, რამეს უშველი, შენ კი არ შეგიძლია დაეხმარო. ეს გამოცდილება დღემდე მომყვება – როცა გადაწყვეტილებას ვიღებ, ვცდილობ, თავი იმ ადამიანების ადგილას წარმოვიდგინო და ფუჭი დაპირებები არ გავცე. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, ვეღარც ფიზიკურად, ვეღარც მორალურად ვუძლებდი და რაღაც უნდა შემეცვალა. მიზანი დავისახე. ერთსაათიანი შესვენება მქონდა და მონათესავე განყოფილებაში სტაჟირებაზე ჩავეწერე. ველოდი დღეს, როცა კონკურსი გამოცხადდებოდა და უკეთეს პოზიციაზე გადავიდოდი. მრავალი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მაგრამ არასოდეს დამიყრია ფარ-ხმალი. ზუსტად ვიცოდი, წინ უნდა წავსულიყავი, წარმატებისთვის უნდა მიმეღწია. ასეც მოხდა, როცა 2014 წელს განყოფილების უფროსად გადამიყვანეს. ვამაყობ, რომ მოქალაქეთა მომსახურების ცენტრი დღეს ბევრად უკეთესია. სამწუხარო ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების პირობებში არავის აღმოაჩნდა სურვილი, მერიის მოქალაქეთა მომსახურების სამსახური უკეთესი ყოფილიყო. „ქართული ოცნების“ პირობებში კი, მომეცა საშუალება, პროექტი, რომელზეც წლების განმავლობაში ვმუშაობდით, სისრულეში მომეყვანა.

– ამბობთ, რომ „ქართული ოცნების“ პირობებში კიდევ არაერთი პროექტის განხორციელების საშუალება მოგეცემათ. თქვენი პრიორიტეტი ძირითადად რა მიმართულებები იქნება?

– სხვადასხვა მიმართულებით გვაქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც თითოეულმა ოჯახმა უნდა გამოიყენოს, როგორც ახალი შესაძლებლობა ჩვენს ქალაქში. ინფრასტრუქტურული პროექტები, რეკრეაციული სივრცეები, ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის მიმართულებები, ახალგაზრდებისთვის მეტი სიახლის შეთავაზება, უსაფრთხო ლიფტები, რუსთავის მწვანე კონცეფცია... ესაა მცირე ჩამონათვალი იმ სფეროებისა, რაზეც რუსთავის მერის პოზიციიდან გავაგრძელებ მუშაობას. ჩემს გამოცდილებას ყველა მიმართულებით გამოვიყენებ და დარწმუნებული ვარ მივაღწევთ, რომ რუსთავი, მომავალში ბევრად განვითარებული, მწვანე და ძლიერი იყოს.

– იმაშიც დარწმუნებული ხართ, რომ რუსთაველები 2 ოქტომბერს მხარს თქვენ დაგიჭერენ?

– რა თქმა უნდა. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი გუნდი ღირსეულ გამარჯვებას მოიპოვებს, რადგან თანამოაზრეებთან ერთად, ახალი გეგმებით, მერის პოზიციიდან თითოეული რუსთაველისთვის კონკრეტული სასიკეთო ცვლილებების განხორციელების ბევრად მეტი შესაძლებლობა მექნება.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **რუსთავის მუნიციპალიტეტზე,** გამოყოფილი 112 249 749 ლარით დაფინანსდა 228 268 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (14 640 673,5 ლარით 718 492 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (9 556 810 ლარით 138 006 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (64 320 088 ლარით 40 296 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (20 985 840 ლარით 23 346 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (6 049 934 ლარით 8 9 839 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (5 773 930 ლარით 11 321 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, რუსთავში, დაფინანსდა 1 138 ბენეფიციარი (1 010 133 ლარი)

2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი **რუსთავის მუნიციპალიტეტში** შეადგენს 91.1%. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **რუსთავში,** სტაციონარული მკურნალობით 481-მა (1 629 643 ლ), ამბულატორიული მომსახურებით – 6 773-მა პაციენტმა (671 176 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით.

2013-2020 წლებში, **რუსთავის მუნიციპალიტეტში,** ანტენატალური სერვისი მიიღო 15 951-მა ორსულმა (848 474 ლარ), მედიკამენტები – 3 777-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **რუსთავის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 3809 პირი 757 299 ლარი.

2012 წლის შემდეგ, რუსთავის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება.

გაუმჯობესდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის როგორც სტაციონარული, ისე ამბოლატორიული და თემზე დაფუძნებული მომსახურების მოცულობა და ხარისხი. **2013 წლიდან, პროგრამის ფარგლებში რუსთავის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა:** ამბულატორიული სერვისები (6 645 მოსარგებლე), თავშესაფრით უზრუნველყოფა (24 მოსარგებლე, გამოიყო 121 931 ლარი), ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება (78 მოსარგებლე, გამოიყო 29 139 ლარი), ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტი (512 მოსარგებლე), თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება (105 მოსარგებლე), სტაციონარული მომსახურება (1 381 მოსარგებლე, გამოიყო 2 753 870 ლარი).

რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად, გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. რუსთავის მუნიციპალიტეტში, 2013 წლიდან 4-ჯერ გაიზარდა პროგრამით დაფინანსებულ შემთხვევათა რაოდენობა და 2013-2021 წლებში, სულ 1 910 შეადგინა (3 518 078 ლარი).

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

2014-2020 წლებში, რუსთავის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: ქ. რუსთავში, ფალიაშვილის ქ. სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ტიპური შენობის მშენებლობა; ფალიაშვილის ქ. შს სამინისტრო სსსიპ „112“-ის ზარების მიმღები ალტერნატიული ცენტრის შენობის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა; მე-11 მიკრორაიონში სოციალური საცხოვრისის მოწყობა. დევნილთა საცხოვრებელი ფართები: დავით გარეჯის №4a მდებარე ყოფილი მე-14 ბ/ბაღის შენობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

2013 წელთან შედარებით 6,6-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1416,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 215,0 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2021 წლებში ჯანდაცვის სფეროში განხორციელდა/ხორციელდება შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამები: მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, მედიკამენტებით და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით დახმარების, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, გონებრივი განვითარების დაყოვნების, ცერებრული დამბლით დაავადებული და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის, C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეებისთვის მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა, საჭირო კვლევების დაფინანსება, დიალიზით დაავადებულთა დახმარების პროგრამები.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- დაგეგმილია დამატებით ახალი პროგრამების განხორციელება: ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგი და შინმოვლა.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **რუსთავის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 22 212 პირია. 2012 წლის შემდეგ პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 3-ჯერ – 19 733 865-დან 58 794 248 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წ.წ. ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 340 685 780 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დაზუსტდა **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **რუსთავში,** კომპენსაციის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 610 პირი. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,5-ჯერ – 703 123 ლარიდან 3 139 276 ლარამდე გაიზარდა და, 2013-2021 წლებში, სულ 20 729 487 ლარი შეადგინა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **რუსთავის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფი 3 146 ოჯახი (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 2,1-ჯერ – 2 750 ათასიდან 5 890 ათას ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 43 199 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 9 908 ათასი, შშმ პირებზე – 3976 ათასი, ბავშვებზე – 17 055 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – რუსთავში სოციალური პაკეტით სარგებლობს 4788 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომარეობით), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6,3-ჯერ – 1 223 526-დან 7 647 719 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 48 974 962 ლარი.

რუსთავის მუნიციპალიტეტში 5 222 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ დევნილთა შემწეობებზე გაწეული ხარჯი1 609 300 ლარიდან 2 855 126 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ დაიხარჯა 22 030 636 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან რუსთავის მუნიციპალიტეტში, დაკმაყოფილდა 728 ოჯახი, მათ შორის, 118 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 215 ოჯახს შეუსყიდა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 513 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. საქართველოს მასშტაბით, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან რუსთავის მუნიციპალიტეტზე – 4 429 000 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს რუსთავის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 1718 ოჯახი, 2021 წელს – 1894. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, რუსთავში, 2020 წელს ისარგებლა 517-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 591-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), რუსთავში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 1258 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 1318.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელმწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი -2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება, სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2335,2 ათასიდან 3051,8 ათასი ლარი შეადგინა.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, მათ შორის მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის შეღავათი მუნიციპალურ ტრანსპორტსა და სასმელი წყლის გადასახადზე, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, ინდივიდუალური დახმარების პროგრამა, შშმ პირთა ხელშეწყობა, ტოტალურ უსინათლოთა გამცილებლის მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამა, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენთა სოციალური დახმარება, და სხვა.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ №4 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛᲝᲡᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

2014 წლის შემდეგ, რუსთავის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლებისა და კერძოდ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. **2014 წლიდან, რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების რეაბილიტაციისა და მათი სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან 18,8 ლარი დაიხარჯა.** 2020 წელს რუსთავის განათლების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდამ **12 მლნ 434 ათასი** ლარი შეადგინა.

2013 წლის შემდეგ, რუსთავის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა რაოდენობაც გაიზარდა – თუ 2013 წელს, რუსთავის საბავშვო ბაღების სააღმზრდელო პროცესში 4 640 აღსაზრდელი იყო ჩართული, 2021 წელს ფუნქციონირებს 184 სააღმზრდელო ჯგუფი, სადაც 6 970 აღსაზრდელი ჩაირიცხება. რუსთავში 22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაა. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 52 ჯგუფში, სადაც 2013 აღსაზრდელია. დასაქმებულია 52 აღმზრდელ-პედაგოგი. საბავშვო ბაღებს ემსახურება 22 მედდა, 22 ფსიქოლოგი, 22 სპეციალური პედაგოგი, 4 ლოგოპედი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბავშვთა **კვების რაციონი,** კვების ხარჯი 2021 წლის ს/წლიდან თითოეულ აღსაზრდელზე 4.75 ლარს შეადგენს. 2020 წელს რაციონში გაიზარდა კალორაჟი. ფილიალებისთვის შეიძინეს 20 ერთეული შესაბამისი სტანდარტის ელექტროქურა, ასევე, ავეჯისა და ჭურჭლის სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები. გადამზადდა ყველა ფილიალის ყველა მიმართულების სპეციალისტი.

2017 წლიდან, კანონის შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაციაზე ზრუნვა, მათი მომზადება-გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით, უწყვეტი პროცესის პირველი ეტაპია, რომელიც გაგრძელდება სისტემატურად.

2017-2021 წლებში, **ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში** ქ. რუსთავის საბავშვო ბაღების გაერთიანების ყველა ფილიალში: გარემონტდა პროდუქტის, საკანცელარიო და სანიტარული მასალების საწყობები და სველი წერტილი; ახალი სტანდარტების გათვალისწინებით, ნაწილობრივ შეიცვალა ავეჯი; შეიცვალა რბილი ინვენტარი (ლოგინი, ფარდები, პერსონალის უნიფორმა; განახლდა ჭურჭელი, შეიძინეს მანქანა-დანადგარები (მაცივარი, გაზქურა, წყლის გამათბობელი, ხორცსაკეპი, მტვერსასრუტი. და სხვ.), შეიძინეს წიგნები, სათამაშოები და მეთოდური მასალები. საერთო ჯამში, ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 1,5 მლნ ლარი დაიხარჯა **(2014 წლის** რეგიონული ფონდი); **2016 წლის** რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა №1, №6, №10, №11, №17, №20, №21, №23, №27, №31, №36, №37, №40, №41, №43 ბაღების რეაბილიტაცია (917,187 ლარი); **2017-2018 წლებში** რეგიონული ფონდიდან დაფინანსდა ქ. რუსთავის №10 საბავშვო ბაღის დემონტაჟი და ახალი ბაღის მშენებლობა (1 მლნ 78,2 ათასი ლარი); რუსთავის №40 და №41 საბავშვო ბაღებში მოეწყო სარინი და ტერიტორიის გზის საფარი (162,7 ათასი ლარი).

2018-2019-2020 წლებში **აშენდა** 2 საბავშვო ბაღი, **მიმდინარეობს** 1 ბაღის მშენებლობა. **რეაბილიტაცია ჩაუტარდა** 4 საბავშვო ბაღს. ქალაქში არსებულ **ყველა საბავშვო ბაღს** ჩაუტარდა კარ-ფანჯრების შეცვლისა და გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, შესაბამისად, **ქალაქში არსებული ყველა საბავშვო ბაღი, სრულად უზრუნველყოფილია გათბობის სისტემებით.** მიმდინარეობს რუსთავში, სარაჯიშვილის ქუჩის №10-ში, ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა (1,6 მლნ ლარი).

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ - ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

2020–2021 სასწავლო წლისთვის, რუსთავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 26 საჯარო სკოლა, სადაც 21400 მოსწავლე, 1304 მასწავლებელი და 45 სპეციალური მასწავლებელია. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ იდენტიფიცირებულია 433 სსსმ მოსწავლე.

რუსთავის №21 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი. რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას სხვადასხვა კატეგორიის, მათ შორის, ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული, ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეებისათვის. 21 სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი. 26 სკოლას ემსახურება 77 მანდატური. საჯარო სკოლებში დასაქმებულია 25 ფსიქოლოგი. საჭიროების შემთხვევაში, ფსიქო-სოციალურ მომსახურებას ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ახორციელებს (2 ფსიქოლოგი; 3 სოც. მუშაკი);

ზოგადი განათლების სფეროში რუსთავის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო და ტრენინგპროგრამა, მათ შორის:

2017-2019 წლებში – წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამით 431 ოქროს და 142 ვერცხლისმედალოსანი გამოვლინდა. 2020-2021 ს/წლისთვის **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამით** ისარგებლა 257-მა ბენეფიციარმა (12 მიმართულება). 2017-2020 წლებში საჯარო სკოლებში 437 772 **უფასო სახელმძღვანელო** და 115 728 **სამუშაო რვეული** დარიგდა. 2017-2020 წლებში, პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“** პორტაბელური კომპიუტერები გადაეცა 8642 პირველკლასელს, ხოლო მიმდინარე წელს – 2200-ს. ამავე წლებში კომპიუტერი გადაეცა 317 დამრიგებელს, 2020–2021 ს/წელს – 87-ს. **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის მიზნით,** 2020–2021 ს/წელს დაფინანსდა 14 პროექტი, **ინტელექტ-ჩემპიონატებში მონაწილეობდა** 713 მოსწავლე, ხოლო **სპორტულ ოლიმპიადაში** – 720 მოსწავლე. **„ახალი სკოლის მოდელში“** ჩართულია 15 სკოლა. **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** უზრუნველყოფილია 13 სკოლა.

რუსთავის მუნიციპალიტეტში, 2017-2018 წლებში, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები რუსთავის 20 საჯარო სკოლაში (1,4 მლნ ლარი). **2019 წელს,** სახელმწიფო პროგრამით, მუნიციპალიტეტის მიერ საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობის, სახურავის, იატაკისა და სხვა სახის რეაბილიტაციის 33 პროექტი განხორციელდა (**1 მლნ 374,3 ათასი** ლარი). **2019-2020 წლებში,** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 საჯარო სკოლას, განხორციელდა ნაწილობრივი რეაბილიტაციის 75 პროექტი. მუნიციპალიტეტში 17 ადაპტირებული სკოლაა, ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფილია ყველა საჯარო სკოლა. **სკოლების სახელმწიფო პროგრამით,** სველი წერტილები მოეწყო მუნიციპალიტეტის 17 საჯარო სკოლაში **(1,2 მლნ ლარი).**

მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს შემდეგი პროექტები: ქ. რუსთავის №26 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია (4 მლნ 421,8 ათასი ლარი); №25 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (4 მლნ 545,2 ათასი ლარი).

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

რუსთავის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სსიპ კოლეჯი „მოდუსი“, რომელიც 18 საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს.

კოლეჯს რუსთავში 400-მდე პროფესიული სტუდენტის მიღების უფლება აქვს. ასევე აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა ორგანიზაციის მხარდაჭერით ორგანიზებულ მომზადება-გადამზადების კურსებს.

2015-2019 წლებში, განხორციელდა კოლეჯის სრული შიდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები. 2016 წლიდან კოლეჯში ფუნქციონირებს **სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია** (ფაბლაბი). 2019 წლის ბოლოს დასრულდა კოლეჯის **სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

კოლეჯის „მოდუსი“, 2020 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი, პროგრამული დაფინანსების ფარგლებში 785 400 ლარი იყო, ხოლო საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, – 2 მილიონ 55 ათასი ლარი.

სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით, 2017-2019 წლებში, რუსთავის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის განხორციელდა 85 კურსი. **2020 წლის მდგომარეობით,** პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 218 სტუდენტი, მათ შორის 11 სსსმ პირი. პროფესიული პროგრამების კურსი დაასრულა 37-მა სტუდენტმა, მათ შორის, 3-მა სსსმ პირმა; **2021 წლის მდგომარეობით,** პროფესიულ პროგრამებში ჩართულია 189 სტუდენტი, მათ შორის, 14 სსსმ პირი;

2020 წლიდან კოლეჯმა მოიპოვა ინტეგრირებული პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება (კომპიუტერული ქსელები და სისტემები; მებაღეობა), რომლის დასრულების შემდეგაც გაიცემა **სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი.**

ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ზრდასრულთა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა. 2021 წლის მდგომარეობით, რუსთავში პროფესიული მომზადებისა და გადამზადების 9 პროგრამა ხელმისაწვდომია 3 დაწესებულებაში.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

2019 წელს, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური დახმარების პროგრამა დანერგა, რომლის ფარგლებშიც, მატერიალური მხარდაჭერა 214-მა სტუდენტმა მიიღო. 2020 წელს ამ პროგრამით 461-მა სტუდენტმა ისარგებლა. ხოლო 2021 წლის მონაცემებით, 449 სტუდენტის სწავლება მერიამ 330 ათასი ლარით დააფინანსა.

რუსთავის №10 საბავშვო ბაღი

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- **2018-2022 წლებში** რუსთავის № 1, № 6, №8, №17, №20, №25, №27, №32, №33, № 36, №37 საბავშვო ბაღებისა და 6 საბავშვო ბაღის (№18, №23, №27, №31, №33, №36) ღობის რეაბილიტაციაზე, საერთო ჯამში, 1,4 მლნ ლარი დაიხარჯება;
- 2022 წლისთვის დასრულდება ახალი საბავშვო ბაღი სარაჯიშვილის ქუჩაზე – 1,6 მლნ ლარი;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება. ყველა სკოლამდელი დაწესებულება გაივლის ავტორიზაციას.
- 2021 წელს, ქ. რუსთავში განხორციელდება №1 ბაღის II ფლიგელის სრული რეაბილიტაცია – 537 100 ლარი, ასევე საბავშვო ბაღების ეზოების კეთილმოწყობა (№20, №21, №17, №18, №31, №43) – 700 ათასი ლარი.
- 2021-2025 წლებში, ქალაქის მასშტაბით, ყველა საბავშვო ბაღში განხორციელდება ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები და ელექტროქსელების სრული რეაბილიტაცია.
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება რუსთავში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამები. მათ შორის, 2021 წლის სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდება: რუსთავის, №7 სკოლის სპორტული დარბაზის გადახურვა, №18 საჯარო სკოლის შენობის გადახურვა, №21 სკოლაში ადაპტირებული სველის წერტილის მოწყობა და №8 სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია. საჯარო სკოლებში გარეტერიტორიის მოწყობა და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე გარესპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის რეაბილიტაცია.
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების **ხარისხის უზრუნველყოფის** მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

2017-2021 წლებში განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებისთვის 1,2 მლნ ლარი გამოიყო.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

რუსთავში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“,

ა(ა)იპ „გიგა ლორთქიფანიძის სახელობის რუსთავის მუნიციპალური თეატრი“,

ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანება“,

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს, ფოლკლორულ ანსამბლებს „მე, რუსთველი“ და „თუთარჩელა“, კამერულ ორკესტრს, ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს სახელწოდებით"-ფიროსმანი", ქორეოგრაფიულ ანსამბლ "სალხინოს", სამუსიკო, სამხატვრო, ხელოვნების და ფოლკლორის სკოლებს.

2014 წლის შემდეგ, რუსთავის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ 2012 წლისთვის კულტურის სფეროზე დახარჯული თანხა 800 ათას ლარს შეადგენს, 2020 წელს ეს **რიცხვი 2 მლნ ლარია,** ასევე გაზრდილია რუსთავში კულტურის სფეროში დასაქმებულთა ანაზღაურების დაფინანსებაც. 2020 წლისთვის სულ კულტურის სფეროში დასაქმებულია 500-ზე მეტი თანამშრომელი და მათი საერთო ანაზღაურება 1 მლნ 827 ათას ლარს შეადგენს .

2014 წლის შემდეგ, რუსთავში, კულტურის მიმართულებით არაერთი ღონისძიება და აქტივობა განხორციელდა. მათ შორის: რუსთავის მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის ფარგლებშიც, 2016-2017 წლებში 20 ქანდაკება შეიქმნა და დღეს ქალაქის სხვადასხვა რეკრეაციულ სივრცეებშია განთავსებული; ფერების ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება; რუსთაველი მხატვრების გამოფენა; სასკოლო თეატრალური ფესტივალი. 2018 წლიდან დაინერგა ქუჩის ხელოვნების ფესტივალი „გამო-ხატე“, რომელიც შენობების ფასადების მხატვრულ გაფორმებას ისახავს მიზნად;

2019 წელს მოეწყო ქუჩის სპექტაკლების თეატრალური ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება); ეთნოფესტივალი, რომელიც ჩვენი ქვეყნის მულტიკულტურულობასა და მრავალეთნიკურობას უსვამს ხაზს; პროექტი „გამხმარი ხეების ახალი სიცოცხლე“ (ხეების ქანდაკებებად გარდაქმნა);

მიმდინარეობს რუსთავის ციხესიმაგრის კონსერვაცია/რესტავრაციის პროექტი, რომელიც „ქართუ ჯგუფისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით ხორციელდება;

ასევე წარმატებული იყო ბოლო წლები რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის თეატრისთვის – რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს მიენიჭა ახმეტელის პრემია, საუკეთესოებად დასახელდნენ 2020 წელს რუსთავის თეატრის მხატვარი და მსახიობი.

სახელოვნებო განათლების მიმართულებით შეიქმნა თანამედროვე მუსიკის განყოფილება, რომელიც ახალგაზრდა მუსიკოსებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ და შეისწავლონ თანამედროვე მუსიკალური მიმართულებები და სხვ. იმავე პერიოდიდან აქტიურად დაიწყო თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობა.

საქართველოს მასშტაბით, მათ შორის რუსთავში კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები „ციხესიმაგრეები – მომავლის მცველები“ (საერთო ბიუჯეტი – 16 218 ლარი) და „ინდუსტრიული მემკვიდრეობის ქართული გზა“ (საერთო ბიუჯეტი – 22 284 ლარი).

2020 წელს, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალების კონკურსის ფარგლებში, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ დაფინანსდა პროექტი „ქუჩის ხელოვნების ფესტივალი ნიკო“ (17 480 ლარი). პროექტმა მოიცვა სხვადასხვა მუნიციპალიტეტი.

პანდემიური სიტუაციის გამო 2020 წლის ღონისძიებები ჩაიშალა, შეიზღუდა 2021 წლის პროექტებიც.

2017-2021 წლებში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში: შიდარემონტი ჩაუტარდა ქ. რუსთავში, შარტავას ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკას, რეაბილიტირდა რუსთავის თეატრის საგრიმიოროები და კულისები; ქ. რუსთავის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების სისტემა, ცენტრალური გათბობის სისტემით აღიჭურვა ადმინისტრაციული შენობა და ფონდსაცავი; განხორციელდა თეატრის გადახურვის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოები; 2019 წელს, ქალაქის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბიზნესსექტორის ინიციატივით, სრულად რეაბილიტირდა თოდრიას I ჩიხში არსებული ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა; მოეწყო სამხატვრო სკოლის ღობე. განხორციელდა №3 მუსიკალური სკოლის, პირველი ბიბლიოთეკისა და მე-4 საბავშვო ბიბლიოთეკის გათბობის სისტემებით უზრუნველყოფის სამუშაოების შესყიდვა; 2021 წელს განხორციელდა რუსთავის №1 მუსიკალური სკოლის უნიკალური საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაცია; 2021 წელს შესყიდულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციისა და სრულად განახლების პროექტი, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

სპორტის ინდივიდუალური სახეობების უკეთ მართვის, მათი განვითარების ხელშეწყობისა და საწვრთნელი ბაზების გაუმჯობესების მიზნით, რუსთავში შესაბამის პროგრამებს ახორციელებს ააიპ „ქალაქ რუსთავის სახელოვნებო სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“. ცენტრში გაერთიანებულნი არიან მწვრთნელები და აღსაზრდელები სპორტის 20 სახეობაში. მათ შორის: კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ჭადრაკში, ჩოგბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში, კრივში და სხვ. ცენტრთან არსებულ გუნდური სპორტის სახეობებში ირიცხება 58 მწვრთნელი და 850 მოსწავლე/სპორტსმენი;

2014 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სპორტის სფეროს დაფინანსება და 2020 წელს 3 798,6 ათასი ლარი შეადგინა.

ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით, ეტაპობრივად მიმდინარეობს **სპორტული ბაზების რეაბილიტაცია.** რუსთავის ქიმიკოსთა სპორტულ კომპლექსში მოეწყო ღია ტიპის სავარჯიშო მოედანი, რომელიც სპორტული ინვენტარითა და თანამედროვე განათების სისტემით აღიჭურვა. რუსთავის მუნიციპალიტეტის, რაგბის ფედერაციისა და „ქართუ ჯგუფის“ ერთობლივი პროექტით აშენდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, დიდი სარაგბო სპორტული კომპლექსი. რუსთავის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის მხარდაჭერით, რუსთავის ცენტრალურ პარკში, ქუჩის სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობის – Street Workout ღია ტიპის სავარჯიშო მოედანი მოეწყო, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირდა. ლომოურის ქ. №6-ში მდებარე სპორტულ კომპლექსში არსებული კრივის დარბაზი უკვე შეძლებს, 100-ზე მეტი სპორტსმენი მიიღოს; 2021 წელს მზადების პროცესშია მშენებელთა ქუჩაზე არსებული სპორტული ე.წ. ფოლადის დარბაზი.

2019 წელს შემუშავდა და 2020 წელს დაინერგა სპორტული წრეებით სარგებლობის საშეღავათო პროგრამა, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებს 90 %-ით უფარავს სპორტული წრეების საფასურს. დღეისათვის, რუსთავის მუნიციპალიტეტში, ხუთი სტადიონი და ათეულობით სავარჯიშო დარბაზი ფუნქციონირებს. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით, მიმდინარეობს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ღია ტიპის სპორტული მოედნების რეაბილიტაცია/განახლება;

განხორციელდა ბორის პაიჭაძის სახელობის ფეხბურთის აკადემიის სამშენებლო სამუშაოები, სპორტული კომპლექსის მშენებლობა უეფასა და ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი პროექტია და საქართველოს მთავრო-

რუსთავში საფეხბურთო აკადემია

ბისა და რუსთავის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება (20 მილიონ ლარი).

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში: 2017 წელს 21 სპორტული მინიმოედნის მოწყობა-რეაბილიტაციაზე 862,5 ათასი ლარი დაიხარჯა, 2018 წელს კი დამატებით 3 სპორტული მინი-მოედნის მოწყობაზე 138 ათასი ლარია დახარჯული.

2019 წელს მოეწყო 26 სპორტული მოედანი და დაიხარჯა 1,9 მლნ ლარი. ქ. რუსთავში, მშენებელთა ქუჩაზე, ფეხბურთის სტადიონის სათადარიგო მოედანზე მოეწყო ხელოვნური საფარი და სადრენაჟე სისტემა (454,6 ათასი ლარი), ასევე რეზინის გრანულების მოყრა/მოწყობის სამუშაოები (67, 9 ათასი ლარი). 2020 წელს 16 ლოკაციაზე დამონტაჟდა სავარჯიშო მოწყობილობები (309.6 ათასი ლარი). განხორციელდა 6 სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაცია (415 ათასი ლარი).

2021 წელს 3 ლოკაციაზე მოეწყო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხე (86,8 ათასი ლარი); განხორციელდა ქ. რუსთავში, რჩეულიშვილის ქუჩაზე არსებული სპორტული კომპლექსის ღობის დემონტაჟი და მოეწყო ახალი (19,9 ათასი ლ). ვახუშტის ქუჩაზე, ჭიდაობის დარბაზში შეიცვალა იატაკი და დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა, გარემონტდა ლომოურის ქუჩაზე მდებარე კრივისა და ჭიდაობის დარბაზები, მოეწყო გათბობა-გაგრილების სისტემები. სრულად გარემონტდა მეშვიდე მიკრორაიონში მდებარე კრივის დარბაზი, რომლიც სრულიად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. მიმდინარე წელს დაიწყო მეშვიდე მიკრო რაიონში მდებარე კიკ-ბოქსინგის დარბაზის სრული რეაბილიტაცია.

შთამბეჭდავია რუსთაველ სპორტსმენთა წარმატებები – 2018-2020 წლებში, რუსთავში სხვადასხვა სპორტის სახეობაში ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების 2 გამარჯვებული და 1 პრიზიორი გამოვლინდა. სხვა საერთაშორისო ტურნირებში, 2018 წელს 238 გამარჯვებული და 317 პრიზიორი, ხოლო 2019 წელს – 195 გამარჯვებული გამოვლინდა;

2014 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობა აქტიურად უწყობს ხელს სპორტსმენებს, გასცემს სტიპენდიებს. 2019 წლიდან თითოეულ პოზიციაზე სტიპენდია მინიმუმ 50 და მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით გაიზარდა; მკვეთრად არის გაზრდილი რუსთაველი სპორტსმენების სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხარჯები და დღეისათვის 237 ათასი ლარით ფინანსდება (2018 წელს გამოყოფილი იყო 87 ათასი ლარი).

ახალგაზრდული პოლიტიკა

2015 წელს, რუსთავის თვითმმართველობამ არასამთავრობო ორგანიზაცია „აირაის“ ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში, რუსთავის ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. დოკუმენტი სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობით ხორციელდება და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: დასაქმება, განათლება, თავისუფალი დროის სწორი ორგანიზება, სამოქალაქო აქტივობის გაზრდა და სხვ. ახალგაზრდობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, რუსთავის თვითმმართველობაში ხორციელდება ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც აა(ი)პ „ქალაქი რუსთავის სახელოვნებო სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი“ ახორციელებს. ახალგაზრდული საქმიანობის სწორად წარმართვის მიზნით, 2018 წელს ჩატარდა „ახალგაზრდული საჭიროებებისა და პრობლემების კვლევა“, რომელმაც ააიპ „ქალაქი რუსთავის სახელოვნებო სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრს“ შესაძლებლობა მისცა, შეექმნა ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2023 წლამდე. ცენტრმა 2019 წლიდან აქტიურად დაიწყო ახალგაზრდული ინდუსტრიების ხელშეწყობა და მუდმივად აფინანსებს სასკოლო თვითმმართველობის, სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების ინიციატივებს.

რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „რუსთავის ინოვაციების ჰაბი“ თანამშრომლობით, განახორციელა შემდეგი პროექტები და აქტივობები: პლასტიკატის მოგროვება-გადამუშავების საპილოტე დახურული ციკლი რუსთავის საჯარო სკოლებისა და მუნიციპალური ბაგა-ბაღებისთვის. ქალაქის ყველა მუნიციპალურ სკოლასა და ბაღში დაიდგა სპეციალური კონტეინერები, სადაც მოსწავლეების, აღსაზრდელებისა და მათი მშობლების მიერ გროვდება პლასტმასის ნარჩენები. გაფორმდა მემორანდუმები რამდენიმე კომპანიასთან, რომლებიც ახდენენ ნარჩენების ტრანსპორტირებას, გადამუშავებასა და მეორადი პროდუქციის წარმოებას (ბიუჯეტი 4 000 აშშ დოლარი);

შეიქმნა სამაგიდო თამაში „რუსთავი“, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩართულობის ინოვაციურ ინსტრუმენტს. თამაში აგებულია თამაშის „მონოპოლია“ პრინციპზე (ბიუჯეტი 5 000 აშშ დოლარი); გაკეთდა ე.წ. Urban Foresight (ქალაქის გრძელვადიანი ხედვის) ქართული მეთოდოლოგია, რაც საშუალებას იძლევა, მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით დაინერგოს ქალაქის გრძელვადიანი ხედვა და შეიქმნა ქალაქის განვითარების სცენარები (3 000 აშშ დოლარი); რუსთავის მერიის სერვისების ჩატ-ბოტი – სი ბოტი. ბოტი საშუალებას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, დისტანციურად მიიღოს დეტალური ინფორმაცია მერიის სერვისების შესახებ. ბოტი უნიკალურია და მისი ანალოგი არ არსებობს პოსტსაბჭოთა სივრცეში (10 000 აშშ დოლარი);

ჰოლანდიური ორგანიზაცია Effect AI-თან გაფორმებული სამმხრივი მემორანდუმის შედეგად, ქ. რუსთავში დაიწყო ბლოკჩეინისა და ხელოვნური ინტელექტის ცენტრის ჩამოყალიბება. პროცესი შეაფერხა პანდემიამ, თუმცა ამ ეტაპზე სრულიად რეაბილიტირებულია ფართობი, სადაც უნდა განთავსდეს ცენტრი (10 000 აშშ დოლარი); ზემოთ ხსენებულ ღონისძიებებში დახარჯული თანხა სრულად მოპოვებულია „რუსთავის ინოვაციების ჰაბის“ მიერ საერთაშორისო დონორებისაგან.

ახალგაზრდული საქმიანობის წახალისების მიზნით, რუსთავის მერიაში ხორციელდება პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აპლიკანტს შესაძლებლობა აქვს, მიიღოს მერიის თანადაფინანსება, რომელიც აპლიკანტის მიერ მოპოვებული საერთაშორისო გრანტის პროპორციული იქნება. 2020 წელს საგრანტო პროგრამით დაფინანსდა 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია სოფელ ფარში (58 380 ლარი). დასაქმდა 3 ახალგაზრდა; ახალგაზრდული გრძელვადიანი სერვისი მიეწოდა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 150 ახალგაზრდას; ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით, რუსთავში 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი გადამზადდა სხვადასხვა მიმართულებით. აქედან 1 მათგანის გადამზადება დაიწყო ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით. 2021 წელს ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროების კვლევა, წლის ბოლომდე დასრულდება ადგილობრივ ახალგაზრდულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე მუშაობა;

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით რუსთავის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- დაგეგმილია რუსთავის ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 1,5 მლნ ლარი.
- მიმდინარეობს სპორტული კომპლექსის მშენებლობა რუსთავში (მე-19 მ/ტ) – 19,1 მლნ ლარი (მგფ);
- ქ. რუსთავში დაგეგმილია სპორტული მოედნების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები 38 ლოკაციაზე – ჯამურად 630 ათასი ლარი;
- 2022-2024 წლებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კუთხე მოეწყობა 15 ლოკაციაზე (ეტაპობრივად) – 300 ათასი ლარი;
- ჩამოყალიბდება რუსთავის საკალათბურთო აკადემია;
- რეაბილიტირდება ე. წ. ფოლადის სპორტული დარბაზი;
- შენდება საწყალოსნო სპორტის სახეობების ბაზა რუსთავის პარკში;
- სპორტული მინიმოედნების მოწყობა-რეაბილიტაციაზე **2.750 მლნ** ლარი დაიხარჯება, გარე სავარჯიშო მოწყობილობების დადგმაზე – 600 ათასი ლარი;
- 2021 წელს ქალაქ რუსთავში განხორციელდება 2 სპორტული მოედნის მოწყობა/რეაბილიტაცია – **140 ათასი ლარი.**



ჩემო ძვირფასებო!

რუსთავის მერად წარდგენა ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, საამაყო და საპასუხისმგებლო მოვლენაა!

14 წელი საჯარო სამსახურში, სხვადასხვა პოზიციაზე ვმუშაობდი და მთელი ამ დროის განმავლობაში მთავარი პრინციპი ჩემთვის ყოველთვის თანამოქალაქეებზე ზრუნვა და გადაწყვეტილებების მათთან ერთად მიღება იყო. ამით ვამაყობ და თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ვაპირებ, სწორედ ამ ღირებულებებზე დაყრდნობით, თქვენთან ერთად შევქმნა რუსთავის წარმატებული ხვალინდელი დღე.

მე და ჩემს გუნდს გვაქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ უნდა გახდეს რუსთავი უფრო კომფორტული, ეკოლოგიურად სუფთა და ეკონომიკურად წარმატებული ქალაქი, სადაც ახალგაზრდობას გაცილებით მეტ რესურსზე ექნება წვდომა, რათა წარმატებას მიაღწიოს საგანმანათლებლო, სპორტულ, სახელოვნებო თუ ტექნოლოგიურ სფეროებში; სადაც ხანშიშესული ადამიანების ყოველდღიურობა გაცილებით ნაკლებ სირთულესთან იქნება დაკავშირებული; სადაც სხვადასხვა საწარმოში დასაქმებული ჩვენი ოჯახის წევრების სამუშაო პირობები ეტაპობრივად კიდევ უფრო გაუმჯობესდება; სადაც დღითიდღე უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით, სრულად გამოვიყენებთ ჩვენი ქალაქის პოტენციალს და ერთად შევქმნით ახალ შესაძლებლობებს რუსთავში!

შემოგვიერთდით!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.